„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი

საბჭოს სხდომის ოქმი

N10

თბილისი, 28 ივლისი, 2022

„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“) (შემდგომში - ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **ნანა იაშვილი** - არქიტექტურის დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კომპიუტერული ხელოვნების ასოციაცია (GCAA) - თანადამფუძნებელი, პროექტების დირექტორი, ქალები აშენებენ საქართველოს (WBG) - თანადამფუძნებელი, საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების და გამოფენების დირექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რუსუდან ერისთავი** - მედიახელოვნების დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, „საქართველოს კომპიუტერული ხელოვნების ასოციაცია“ თანადამფუძნებელი, ასოციაციის დირექტორი, **საბჭოს მდივანი;**
3. **ლუკა მიქელაძე** - მედიახელოვნების დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტთან

არსებული, ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტის, მთავარი მეცნიერთანამშრომელი, კვლევითი ერთეულის დირექტორი. დიზაინ სტუდიის, წრე გრუპის თანადამფუძნებელი და დირექტორი;

4. **მარიამ ზალდასტანიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლის ლექტორი;
5. **ნინო ლიპარტელიანი** - GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა, ასოცირებული პროფესორი, აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი დიზაინ-სტუდია DESIGNSCOLIO OÜ Tallinn Estonia, თანადამფუძნებელი, აღმასრულებელი კრეატივ დირექტორი;
6. **მარინა სალუქვაძე** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის დირექტორი;
7. **ნინო გედევანიშვილი** - მეცნიერებათა დოქტორი, GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზემთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილი სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

ქეთევან ფანჩულიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;

სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი;

ხატია ბერიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დაეწყო შეხვედრა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილის განცხადება, რადგან სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი საბა ჯაჯანიძე, ხმათა უმრავლესობით, მოცემული სხდომისათვის, შეერჩიათ საბჭოს მდივანი.

დაადგინეს:

- თავმჯდომარემ მოცემული სხდომისათვის მდივნად აირჩია რუსუდან ერისთავი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა იაშვილმა, წარადგინა დღის წესრიგი:

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ არსებული კომენტარების მოსმენა და კენჭისყრა პროექტის დასამტკიცებლად დადებითი რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ რაიმე კომენტარი/შენიშვნა/რეკომენდაცია ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ, წარმოედგინათ;

დაადგინეს:

- საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ არანაირი შენიშვნა ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ. მათთვის, ყველასთვის მისაღები იყო დოკუმენტის მიმდინარე ვერსია.

მოისმინეს:

- საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა იაშვილმა წარადგინა საკითხი ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცებისათვის დადებითი რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

დაადგინეს:

- საბჭომ კენჭი უყარა და **ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით** დაადგინა, რომ მიეცეს **დადებითი რეკომენდაცია** ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტს დამტკიცების თაობაზე;

დოკუმენტი ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად და **ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.**

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილმა, ცენტრის სახელით, მადლობა გადაუხადა ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოს მნიშვნელოვან პროცესში ჩართულობისთვის და თანამშრომლობისათვის;
- ქეთევან ფანჩულიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა თანამშრომლობისათვის;
- ნანა იაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ცენტრს სასიამოვნო და საინტერესო სამუშაო პროცესისათვის.

საბჭოს სხდომა დასრულდა 11:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა

იაშვილი

საბჭოს მდივანი რუსუდან

ერისთავი

დანართი N1

„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“)

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2022

I. შესავალი

,,ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ (,,ვიზუალური კომუნიკაცია“, ,,მედიახელოვნება/ციფრული მედია“, ,,მულტიმედია დიზაინი“, ,,გრაფიკული დიზაინი“ და ,,ბეჭდვითი მედია/ტოპოგრაფია“) (შემდგომში-ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნება) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნებაში შემავალი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ შეიძენს.

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სტუდენტების მობილობის, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარების, ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნებაში შემავალი პროფესიების დაუფლებისა და დასაქმების მხარდაჭერა.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი ფარავს შემდეგი სწავლის სფეროებს:

- მედიახელოვნება/ციფრული მედია;
- მულტიმედია დიზაინი;
- გრაფიკული დიზაინი; • ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია;
- ვიზუალური კომუნიკაცია.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტებისათვის, რომლებიც არჩევანს აკეთებენ იმ დარგთა შორის, რომლებსაც მოიცავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებელი;
- სტუდენტებისათვის, რომლებიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მე-6 ან მე-7 დონეზე ეუფლებიან ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს იმ დარგებში, რომლებსაც ფარავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებელი;
- უცხოელი სტუდენტებისათვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ სწავლა განაგრძონ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც ფარავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებელი;
- დამსაქმებლისა და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, რომლებსაც სურთ მიიღონ ინფორმაცია, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს ფლობს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შედგება მინიმალური მოთხოვნებისა და დებულებებისგან, რომელთა დაცვისა და შესრულების ვალდებულება აქვს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ხორციელდება ან დაგეგმილია განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 და/ან მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთაც მოიცავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივი მახასიათებელი.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა The Subject Benchmark Statement of "Visual communication/Media art" („Visual communication", „Media arts/Digital Media", „Multimedia Design", „Graphic Design" and "Print Media/Typography"). დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების ქუდქვეშ გაერთიანებულმა სწავლის სფეროებმა ბოლო წლებში ხელშესახები ტრანსფორმაცია განიცადა, მათი ფუნქცია კი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ახალი იდეების, ახალი ტექნოლოგიებისა და/ან შემოქმედებითი შინაარსის შექმნა-შემუშავება" (Create new ideas, new technologies, and/or creative content). უმაღლესი განათლების ინსტიტუციებისთვის, რომლებიც შემოქმედებითი დისციპლინების დარგში ოპერირებენ, გაჩნდა დამატებითი გამოწვევები, როგორიცაა ახალი პროფესიების ათვისება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შემოქმედებით ინდუსტრიაში და „შემოქმედებითი მეწარმეობის" (Creative Entrepreneurship), როგორც ახალი ფორმულის წარმატებით დანერგვა.

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნება არის სფერო, რომელიც უკავშირდება ვიზუალური ხერხების გამოყენების პრაქტიკას ინფორმაციისა და სხვადასხვა იდეების კომუნიკაციის მიზნით, ტრადიციული და ახალი მედია საშუალებებით. ის მოიცავს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს (კომერციულსა და არაკომერციულს) და მის იმპლემენტაციას, ვიზუალური კომუნიკაციის, რეკლამის ფუნქციონალურ და შემოქმედებით-ესთეტიკურ საკითხებს, გამოსახულებისა და ტექსტის ერთდროულად ან ცალკეულად გამოყენების ხელოვნებას, ფოტოგრაფიას, გრაფიკულ და ციფრულ დიზაინს, ანიმაციურ და ვიდეო პროდუქტებს, ინფორმაციის დიზაინს (ინფოგრაფიკა), წიგნის დიზაინს, ახალ მედიახელოვნებას (თამაშების დიზაინი, ვირტუალური, ინტერაქტიული,

იმერსიული ხელოვნება, VR, AR, MR, NETART, NFT და ა.შ.) და 2D, 3D, 4D პროგრამულ უზრუნველყოფას. სფერო იყენებს სხვადასხვა მედიას ცალკეულად ან რამდენიმეს ერთდროულად და მიზნად ისახავს სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების საშუალებით კონკრეტული/მიზნობრივი აუდიტორიისთვის შემოქმედებითი პროდუქტების გაზიარებას.

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სწავლის სფერო მოიცავს მთელ რიგ შემოქმედებით და ტექნიკურ დისციპლინებს, რაც ეფუძნება ესთეტიკას, კრეატიულობას, ინტერპრეტაციას და იყენებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ის იდეების გენერირებას, გამოხატვის ფორმების, განხორციელების ალტერნატიული გზების ძიებას უკავშირდება და ახლის შესაქმნელად ექსპერიმენტულ მიდგომებს მიმართავს. აქცენტი კეთდება შემოქმედებით პოტენციალზე.

მედიახელოვნება მომავალ პროფესიონალებს ხელს უწყობს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ხედვის ჩამოყალიბებაში. სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტები დარგის ისტორიული და თეორიული კონტექსტის გააზრებითა და შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით იქმნება: ესთეტიკა, ფუნქციურობა, ტექნოლოგია, მდგრადობა და ეთიკა. იდეების, ფორმების, ხმის, ტექსტის გენერირება ახალ პროდუქტს, სივრცესა და ხელსაწყოებს წარმოშობს. ამგვარი ინოვაციური პოტენციალი ხშირად სწორედ ინტერდისციპლინარულ ჭრილში მეტად იჩენს ხოლმე თავს, ვიდრე იზოლირებული დისციპლინების შემთხვევაში; ჩნდება ეგრეთწოდებული „კრეატიული ეკონომიკის“ (Creative Economy) კონტექსტი.

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სწავლის სფეროების დარგობრივი მახასიათებელი განისაზღვრება როგორც „შექმნა და შემოქმედებითობა“ (Creation and Creativity). ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების და საზიარო ფასეულობების“ (Common dimensions and shared values) ჭრილში ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს:

- კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა;
- ისტორია, თეორია და კულტურა;

- შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია;
- ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები;
- ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება;
- შემოქმედებითი მეწარმეობა.

III. სწავლის შედეგები

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები (BA-VI და MA-VII საფეხურზე) უნდა უზრუნველყოფდეს დარგის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ბალანსს, სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების მიღწევას, ასევე, მომავალი სპეციალისტების მომზადებას პროფესიული საქმიანობისათვის, რომელიც ეფუძნება ტექნოლოგიურ და მეცნიერულ ცოდნას, შემოქმედებით და სამეცნიერო მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

მოცემული სწავლის შედეგები არის მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვაც ევალებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; აქვთ შესაძლებლობა კატეგორიებად ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბონ სწავლის შედეგები.

3.1. ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ამჟღავნებს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების ისტორიის, თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ციფრული

ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების უახლესი მიღწევების ცოდნას;

• აანალიზებს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროს მხატვრულშემოქმედებით, ციფრულ-ტექნოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ საფუძვლებს;

- ჩამოთვლის და აღწერს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების კონტექსტში ტექნოლოგიური და შემოქმედებითი, გრაფიკული მოდელირების პროცესებს, ასევე გრაფიკული/ციფრული მოდელირების თეორიისა და მეთოდების უახლეს ასპექტებს;
- განასხვავებს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროში უახლეს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, პროგრამულ, სისტემებთან დაკავშირებულ პროცესებს, იმერსიული ხელოვნების მულტიმედიურ სტრუქტურებს და მხატვრულ-შემოქმედებით საკითხებს (VR, AR, MR, NETART, NFT და ა.შ.);

უნარი

კურსდამთავრებული:

- გეგმავს და პრაქტიკულად ახორციელებს შემოქმედებით - ექსპერიმენტულ სამუშაოებს ვიზუალური ხერხებით, 2D, 3D, 4D მოდელირებით;
- შეგროვებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით აყალიბებს პროექტის კონცეფციას და კონკრეტულ პრობლემაზე პროფესიული რეაგირებით სახავს გადაწყვეტის გზებს;
- კვლევის მეთოდების გამოყენებით და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის საპროექტო დავალებას წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, ამუშავებს დიზაინის კონცეფციას და მულტიმედიურ პროექტს;
- წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, პროექტში, როგორც ერთ მთლიან პროდუქტში, ითვალისწინებს და გამოსახავს მხატვრულ ობიექტებს, მოდელებს,

ციფრულ გამოსახულებას, ასევე ვიზუალური კომუნიკაციის, რეკლამის, ფუნქციონალურ და შემოქმედებით-ესთეტიკურ საკითხებს;

- ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების პროექტის შექმნის, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, ვერბალურ და ვიზუალურ, წერით, მულტიმედიურ და სხვა ხერხებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების პროდუქტის/პროექტის შექმნის პროცესში, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში; ამ პროცესში პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას;
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას;
- იცავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროში ამოცანის დაგეგმვის, შემოქმედებითი გადაწყვეტისა და შესრულების პროცესში პროფესიული ეთიკის პრინციპებს, აფასებს პროფესიის როლსა და მნიშვნელობას

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ახდენს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდებისა და უახლესი ტენდენციების/დისკურსის, სტრატეგიის და მოდელირება/პროექტირების ცოდნის ინტერპრეტირებას;
- ინოვაციური მიდგომების საფუძველზე განიხილავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების პროექტზე ესთეტიკური, ტექნიკური, ფუნქციურტექნოლოგიური მოდელირების, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და მდგრადი განვითარების ფაქტორების გავლენას;
- განსაზღვრავს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების საქმიანობასა და ვიზუალური კომუნიკაციის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ შემოქმედებითი მეწარმეობის პროცესებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- გეგმავს და პრაქტიკულად ახორციელებს შემოქმედებით - ექსპერიმენტულ სამუშაოებს, ციფრული საშუალებებით, 2D, 3D, 4D გამოყენებით და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით ქმნის მულტიმედიურ პროდუქტს;
- ავლენს არაპროგნოზირებად გარემოში სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, აყალიბებს შემოქმედებით კონცეფციას და კონკრეტულ პრობლემაზე რეაგირებით სახავს გადაწყვეტის გზებს;

- შეგროვებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით აყალიბებს დიზაინის კონცეფციას და ქმნის მულტიმედიურ პროექტს;
- წინასწარ განსაზღვრული მოცემულობის შესაბამისად, პროექტში ითვალისწინებს ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ფუნქციონალურ და შემოქმედებით საკითხებს;
- ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების შემოქმედებითი პროექტის შექმნის, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ და სხვა საშუალებას;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, იკვლევს ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების კონტექსტში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს;
- გეგმავს და ახორციელებს ინოვაციურ მიდგომებსა და მიგნებებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების პროდუქტის/პროექტის შექმნის პროცესში ავლენს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, წვლილი შეაქვს სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;
- განსაზღვრავს და გეგმავს საკუთარ და სხვების სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების საჭიროებებს, აკადემიურ და კვლევით საქმიანობას.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგობრივ მახასიათებელში, რომელიც ფარავს შემდეგ სწავლის სფეროებს: მედიახელოვნება/ციფრული მედია, მულტიმედია დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია, ვიზუალური კომუნიკაცია - სწავლება, სწავლა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის და აუცილებლად უნდა დაეფუძნოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისა და მათი შეფასების რელევანტური მეთოდები.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო საფეხური. საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები.

სწავლება-სწავლის მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს სფეროს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კომპონენტებთან და ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს:

- სპეციალობაში ცოდნის დაუფლებასა და გაღრმავებაში;
- სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვაში;
- დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევების გამომუშავებაში;
- დარგის შესაბამისი ტრანსფერული უნარების გამომუშავებაში;
- დარგის შესაბამისი ღირებულებების გამომუშავებაში;

- კვლევაზე დაფუძნებული (პრობლემის გამოკვეთა, გაანალიზება და გადაჭრის გზების დასახვა) უნარების გამომუშავებაში.

სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები უნდა ზრუნავდნენ სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის და ახალი ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარებითა და დანერგვით.

შეფასების სისტემა ხელს უნდა უწყობდეს თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგის მიღწევის გაზომვას.

სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ძირითად პრინციპებს: ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა; ამიტომ შეფასების კრიტერიუმები თითოეული სასწავლო დისციპლინის სილაბუსში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი.

4.1 სწავლება-სწავლის მეთოდები

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების დარგის მედიახელოვნება/ციფრული მედია, მულტიმედია დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია, ვიზუალური კომუნიკაცია საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლება, სწავლისა და შეფასებისას, უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მათგან მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს:

- ლექცია;
- ლექცია-პრაქტიკული;

- დამოუკიდებელი მუშაობა;
- სტუდიური მუშაობა;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- ჯგუფური მუშაობა;
- ექსპერიმენტული სწავლება;
- საკურსო სამუშაო/პროექტი;
- ელექტრონული სწავლება (E-learning)
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, სემინარი);
- შერეული ტიპის მეცადინეობა (მათ შორის ონლაინ რეჟიმში);
- კონსულტაციები;
- სხვა.

4.2 სწავლება- სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის რეკომენდებულია სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული იყოს შემდეგი აქტივობები:

- დისკუსია/დებატები;
- გამოფენა;
- პროექტის ინიცირება და პრეზენტაცია;
- ჯგუფური (Collaborative) მუშაობა;
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- შემთხვევების შესწავლა (Case study);
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი;
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;

- წერილობითი ნაშრომის მომზადება;
- წიგნზე მუშაობა;
- დამოუკიდებლად სწავლა;
- ლაბორატორიული;
- პრაქტიკული;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ახსნა-განმარტება;
- სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის განმახორციელებელ პირებს შეუძლიათ სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია მეთოდების შერწყმა. კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი სხვა აქტივობაც.

4.3 შეფასების მეთოდები

შეფასების კომპონენტები და მეთოდები ვიზუალური კომუნიკაცია/მედია ხელოვნების დარგობრივ მახასიათებელში შემავალი სფეროების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (აქტივობა, შუალედური, დასკვნითი შეფასება და საკვალიფიკაციო ნაშრომი) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის, უნარის და კომპეტენციის შეფასების შემდეგ საშუალებებს:

- გამოფენა;
- პრეზენტაცია;
- კლაუზურა;
- ტესტი;

- ქვიზი;
- სასემინარო მოხსენება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დავალების შესრულება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერილობითი ნაშრომი;
- დისკუსია–დებატებში მონაწილეობა;
- კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალური შეფასება;
- სხვა.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს ადეკვატური შეფასების კრიტერიუმებით, რომლებითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5.2. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი სფეროსთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები და სტუდიები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

5.3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შემოქმედებითი და ციფრულ-ტექნოლოგიური უნარების ფლობა. მოცემული უნარების შეფასების შესაძლო ფორმებია:

- გამოცდა;
- გასაუბრება;
- პორტფოლიო;
- შემოქმედებითი ტური;
- და სხვა.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნანა იაშვილი	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	არქიტექტურის დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კომპიუტერული ხელოვნების ასოციაცია (GCAA) - თანადამფუძნებელი, პროექტების დირექტორი, ქალები აშენებენ საქართველოს (WBG)- თანადამფუძნებელი, საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების და გამოფენების დირექტორი.
2.	საბა ჯაჯანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციური ტექნოლოგიების კიბერლაბორატორია უნილაბი	საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციური ტექნოლოგიების კიბერლაბორატორია უნილაბის თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით.

3.	რუსუდან ერისთავი	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	მედიახელოვნების დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, „საქართველოს კომპიუტერული ხელოვნების ასოციაცია“ - თანადამფუძნებელი, ასოციაციის დირექტორი
4.	ლუკა მიქელაძე	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	მედიახელოვნების დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტთან არსებული, ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტის, მთავარი მეცნიერთანამშრომელი, კვლევითი ერთეულის დირექტორი. დიზაინ სტუდიის, წრე გრუპის თანადამფუძნებელი და დირექტორი.
5.	მარიამ ზალდასტანიშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის თავისუფალი უნივერსტეტის ვიზუალური ხელოვნების არქიტექტურის

			და დიზაინის სკოლის ლექტორი
6.	მარინა სალუქვაძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრის დირექტორი. სტუდენტური კინო-ტელე ფორუმის- "ვიზუალური აზროვნების კულტურის განვითარება", ხელმძღვანელი
7.	ნინო ლიპარტელიანი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა, ასოცირებული პროფესორი, აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი დიზაინ-სტუდია DESIGNSCOLIO OÜ Tallinn Estonia, თანადამფუძნებელი, აღმასრულებელი კრეატიული დირექტორი
8.	ნინო გედევანიშვილი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	მეცნიერებათა დოქტორი, GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამის ხელმძღვანელი, სსიპ - საქართველოს ეროვნული

			მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი
9.	ლია მოშიაშვილი	შპს "ლივინგსტონ ლაბ" - ჯეოლაბი	ჯეოლაბის მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი
1 0	ირინა პოპიაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის თავისუფალი უნივერსტეტის ვიზუალური ხელოვნების არქიტექტურის და დიზაინის სკოლის დეკანი